პლატონის „გამოქვაბულის მითის“ მხატვრული ტრანსფორმაცია კლაივ ლუისის „ნარნიის ქრონიკებში“

ნინო ნიკოლაიშვილი
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,
ითიაი ჰოლდინგი,
ბათუმი, საქართველო

აბსტრაქტი

ფენტეზის ჟანრის კლასიკური ნაწარმოები ლკაივ ლუისის „ნარნიის ქრონიკები“, მთელი თავისი არქეტიპული და მითოლოგემური არსენალით მითოლოგიურ ტრადიციას მიჰყვება. „ქრონიკები“ კოსმოგონიური მითონარატივების კიდევ ერთი უნიკალური ვერსიაა, რომელიც ლიტერატურულად არის გადამუშავებული და შესაბამისად, კოსმოგონიების მითოსურ იდეას ბევრად სცდება. მითოსურ-არქეტიპული ქარგის შესაბამისად, „ქრონიკებშიც“ პოსტკოსმოგონიურ ეპოქას „ოქროს ხანა“(კრეტა-იუგა) იწყებს, რომელიც თანმიმდევრული რეგრესირებადი იუგებით გრძელდება და საბოლოოდ ესქატოლოგით-სამყაროს აღსასრულით სრულდება.

კლაივ ლუისის „ნარნიის ქრონიკებში“ არა მხოლოდ მითოლოგიურ და რელიგიურ არქეტიპებსა და პარადიგმებს ვხვდებით, არამედ მასზე ფილოსოფოსების გავლენაც თვალნათლივ შეიმჩნევა. განსაკუთრებით საყურადღებოა პლატონის ფილოსოფია, მისი იდეათა სამყარო და გამოქვაბულის მითი.

ლუისის მხატვრული ლიტერატურა პლატონური ელემენტებითაა გაჯერებული, რომელიც ყველაზე მეტად თვალსაჩინოა „უკანასკნელ ბრძოლაში“, სადაც ნარნია, რომელიც წინა ექვს თავში გვხვდებოდა, განსხვავდება „უკანასკნელ ბრძოლაში“ არსებული ნარნიისგან.

პლატონის გავლენა ლუისის „ნარნიის ქრონიკებში“ აშკარაა. ლუისის ტექსტებში ნათლად სჩანს პლატონის ნაშრომების ცოდნა და მის მიმართ დიდი ინტერესი. ასევე აშკარად სჩანს პლატონის იდეების შერწყმა საკუთარ იდეებთან და მითოლოგიურ, ქრისტიანულ და ფილოსოფიურ ჭრილში დანახვა. ლუისის მხატვრულ ლიტერატურაში ქრისტიანული პლატონიზმის ზოგიერთი ელემენტები ადვილად ამოსაცნობია, ხოლო ზოგიერთი ისეა შერწყმული ლუისის საკუთარ თეოლოგიაში, რომ ისინი თითქმის არ განირჩევა, ან ძნელად თუ მივხვდებით, რომ ბერძნული წარმოშობისაა.

ლუისის „უკანასკნელ ბრძოლაში“ გადმოცემული ცის კონცეპცია, ძველი ნარნიის გაუჩინარება და ახალი, ნამდვილი, ზეციური ნარნიის შექმნა რომელსაც ჩვენ მანამდე არ ვიცნობდით, „ფორმისა“ და „ასლის“ იდეასთან თანაზიარია. ის ნარნია, რომელშიც ბავშვები მოგზაურობდნენ და მუდმივად მისი გათავისუფლება უხდებოდათ მტრებისგან თუ ჯადოქრებისგან, თურმე ასლია, მოჩვენებითია, წარმავალია ნამდვილი, მარადიული ნარნიისგან განსხვავებით.

ორთავეს, პლატონსაც და ლუისსაც სჯეროდათ იდეების უცვლელი სამყაროსი, რომელიც მოიცავდა მარადიულ, ობიექტურ და ეთნიკურ სტანდარტებს. მათ ასევე დაასკვნეს, რომ ეს ამჟამინდელი, წარმავალი სამყარო არის უფრო რეალური სამყაროს ჩრდილი, რომელიც მიღმაა.

ლუისის „უკანასკნელი ბრძოლა“ სინკრეტული ხასიათისაა. მასში ასახული მოვლენებით აშკარად იგრძნობა გავლენა ქრისტიანული ესქატოლოგიის, სკანდინავიური მითოლოგიის და ბერძნული ფილოსოფიის.

საძიებო სიტყვები: ნარნია; არქეტიპები; პლატონის გამოქვაბულის მითი; ფორმის და ასლის იდეა.

შესავალი

კლაივ ლუისის „ნარნიის ქრონიკებში“ არა მხოლოდ მითოლოგიურ და რელიგიურ არქეტიპებსა და პარადიგმებს ვხვდ-

ებით, არამედ მასზე ფილოსოფოსების გავლენაც თვალნათლივ შეიმჩნევა. განსაკუთრებით საყურადღებოა პლატონის ფილოსოფია, მისი იდეათა სამყარო და გამოქვაბულის მითი.

პლატონის გავლენა ლუისის „ნარნიის ქრონიკებში“ აშკარაა. ლუისის ტექსტებში ნათლად სჩანს პლატონის ნაშრომების ცოდნა და მის მიმართ დიდი ინტერესი. ასევე აშკარად სჩანს პლატონის იდეების შერწყმა საკუთარ იდეებთან და მითოლოგიურ, ქრისტიანულ და ფილოსოფიურ ჭრილში დანახვა. ლუისის მხატვრულ ლიტერატურაში ქრისტიანული პლატონიზმის ზოგიერთი ელემენტები ადვილად ამოსაცნობია, ხოლო ზოგიერთი ისეა შერწყმული ლუისის საკუთარ თეოლოგიაში, რომ ისინი თითქმის არ განირჩევა, ან ძნელად თუ მივხვდებით, რომ ბერძნული წარმოშობისაა.

მეთოდი

კომპარატივისტული მეთოდის საშუალებით ნაშრომში შესწავლილია პლატონის გავლენა კლაივ სტეპლ ლუისის შემოქმედებაზე.

შედეგები

კლაივ ლუისის „ნარნიის ქრონიკებში“ არა მხოლოდ მითოლოგიურ და რელიგიურ არქეტიპებსა და პარადიგმებს ვხვდებით, არამედ მასზე ფილოსოფოსების გავლენაც თვალნათლივ შეიმჩნევა. განსაკუთრებით საყურადღებოა პლატონის ფილოსოფია, მისი იდეათა სამყარო და გამოქვაბულის მითი.

დისკუსია

კლაივ ლუისის „ნარნიის ქრონიკებში“ არა მხოლოდ მითოლოგიურ და რელიგიურ არქეტიპებსა და პარადიგმებს ვხვდებით, არამედ მასზე ფილოსოფოსების გავლენაც თვალნათლივ შეიმჩნევა. განსაკუთრებით საყურადღებოა პლატონის ფილოსოფია, მისი იდეათა სამყარო და გამოქვაბულის მითი.

პლატონის გავლენა ლუისის „ნარნიის ქრონიკებში“ აშკარაა. ლუისის ტექსტებში ნათლად სჩანს პლატონის ნაშრომების ცოდნა და მის მიმართ დიდი ინტერესი. ასევე აშკარად სჩანს პლატონის იდეების შერწყმა საკუთარ იდეებთან და მითოლოგიურ, ქრისტიანულ და ფილოსოფიურ ჭრილში დანახვა. „ლუისის მხატვრულ ლიტერატურაში ქრისტიანული პლატო-

ნიზმის ზოგიერთი ელემენტები ადვილად ამოსაცნობია, ხოლო ზოგიერთი ისეა შერწყმული ლუისის საკუთარ თეოლოგიაში, რომ ისინი თითქმის არ განირჩევა, ან ძნელად თუ მივხვდებით, რომ ბერძნული წარმოშობისაა“ (William, 1986:76).

მართალია, ლუისის მხატვრული ლიტერატურა პლატონური ელემენტებითაა გაჯერებული, მაგრამ ეს განსაკუთრებით ყველაზე მეტად თვალსაჩინოა „უკანასკნელ ბრძოლაში“, სადაც ნარნია, რომელიც წინა ექვს თავში გვხვდებოდა, განსხვავდება „უკანასკნელ ბრძოლაში“ არსებული ნარნიისგან. ეს განსხვავება კარგად ჩანს, როდესაც თავლის კარებიდან სხვა სამყაროში მოხვედრილ გაოცებულ ლუსის, პიტერს და სხვა ბავშვებს უხსნის დიგორი, რომ ისინი ახლა ნამდვილ ნარნიაში იმყოფებიან და არა იმ ნარნიაში, რომელიც აღარ არსებობს და ასლი იყო ნამდვილისა. „როდესაც თქვენ ლომმა ასლანმა გითხრათ, რომ ვეღარასოდეს დაბრუნდებოდით ნარნიაში, მან იგულისხმა, ის ნარნია რომელსაც შენ იცნობ. მაგრამ ეს არ იყო ნამდვილი ნარნია. მას აქვს დასაწყისი და დასასრული. ის იყო მხოლოდ აჩრდილი, ასლი ნამდვილი ნარნიისა, რომელიც ყოველთვის აქ იყო და აქ იქნება: როგორც ჩვენი ქვეყანა, ინგლისი და ყველა ქვეყანა, არის აჩრდილი, ან ასლი რაღაცის ასლანის სამყაროში. მთლიანი ნარნია, ყველა ძვირფასი არსება, ყველა გადმოყვანილია კარების მეშვეობით ნამდვილ ნარნიაში და, რა თქმა უნდა, განსხვავებულია, როგორც ნამდვილი თავისი აჩრდილისგან და როგორც ცხადი სიზმრისგან. და თან დაამატებს - ეს ყველაფერი პლატონშია, ყველაფერი პლატონშია“ (Lewis, 2007:150). მ. ელიადე თავის წიგნში „მარადიული დაბრუნების მითი“, ლაპარაკობს ირანულ კოსმოგონიაში არსებულ ზერვანიზმის ტრადიციაზე. „ზერვანიზმის ტრადიციის თანახმად, „ყველა დედამიწისეულ მოვლენას“, აბსტრაქტულს თუ კონკრეტულს, თავისი ტრანსცენდენტური უჩინარი ანალოგი, პლატონისეული გაგებით, ერთგვარი „იდეა“ შეესაბამება ზეცაზე. თითოეულ საგანს, ყველა ცნებას დუალიზმი, ორმაგი რაობა ახასიათებს: მენოკი(ზეციური) და გეტიკი (მიწიერი). ხილული ზეცა თუ არსებობს, ესე იგი მენოკის ზეცაც არის, რომელიც უხილავია. ჩვენს დედამიწას თავისი ზეციური ანალოგი აქვს“

(ელიადე, 2017:25). ,,პლატონის ყველაზე თვალსაჩინო ადგილი, რომელსაც შესაძლოა დიგორი გულისხმობდა, არის „სახელმწიფოს“ მეშვიდე წიგნში თავისი ცნობილი მღვიმის ალეგორიით. ან, როგორც ვალტერ ჰუპერი ვარაუდობს, შესაძლოა „ფედონი“ იყოს, რომელშიც პლატონი განიხილავს უკვდავებას და ცვალებადი ფორმების უცვლელ რეალობას“ (William, 1986:78). პლატონს „სახელმწიფოში“ აღწერილი აქვს მღვიმე, როგორც ხილული სამყარო, რომელშიც ადამიანები ჯაჭვითაა დამბული და უკან დანთებული ცეცხლის სინათლის მეშვეობით ხედავენ გამოსახულებებს, საგანთა ანარეკლს და აჩრდილებს. მაგრამ თუ ისინი მოახერხებენ ამ მღვიმიდან გამოსვლას, შეძლებენ უფრო მეტის დანახვას. უფრო რეალურის, ნამდვილი საგნების, სინათლის. აქედან გამომდინარე, პლატონის აზრით, ადამიანებს, მხოლოდ იმის შესახებ იციან რასაც ხედავენ, მათთვის რეალური და ხილული მატერიალური სამყაროა. მაგრამ არსებობს უფრო მეტი, ამ ყველაფრის არსი, უფრო რეალური და მარადიული. „მღვიმე ხილული სამყაროა, ხოლო სინათლე, რომელსაც ცეცხლი ასხივებს, მზის ნათელის მსგავსია. მაღლა ასვლა და ნამდვილი საგნების ჭვრეტა სხვა არა არის რა, თუ არა სულის აღმასვლა გონით საწვდომი სამყაროს მიმართ; პირადად მე ასე მგონია, ცოდნით კი ღმერთმა იცის, მართალია თუ არა იგი. გონით საწვდომი სამყაროს ზღვარი სიკეთის იდეაა, რომელსაც ძნელად თუ გაარჩევს გონების თვალი, მაგრამ საკმარისია ბუნდოვნად მაინც აღიქვათ, რომ აქედან უშუალოდ გამოგვაქვს დასკვნა: სწორედ სიკეთის იდეაა ყოველივე ჭეშმარიტისა და მშვენიერის მიზეზი, ხილულ სამაროში ის ბადებს ნათელს და მის მეუფეს, გონით საწვდომ სამყაროში კი თვითონვეა მეუფეც და მბრძანებელიც, რომლისგანაც დასაბამს იღებს ჭეშმარიტება და გონიერება; ამიტომ სწორედ მის ჭვრეტას უნდა ცდილობდეს ყველა, ვისაც სურს გონივრულად იქცეოდეს როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც“ (პლატონი, 2003: 168). სწორედ თავლიდან ნამდვილ ნარნიაში გასულ ადამიანებს შეუძლიათ შეიცნონ ჭეშმარიტება და ეზიარონ მარადიულობასა და მარადიულ იდეებს. დენის ფიშერიც აღნიშნავს თავის სტატიაში პლატონის გავლენას ლუისის ნაწარმოებებზე და დიგორის

მიმართვას ბავშვებისადმი მიიჩნევს ლუისის პლატონისადმი ინტერესს „ფორმისა“ და „ასლის“ იდეასთან. ის ასევე ამბობს, რომ ორთავეს, პლატონსაც და ლუისსაც სჯეროდათ იდეების უცვლელი სამყაროსი, რომელიც მოიცავდა მარადიულ, ობიექტურ და ეთნიკურ სტანდარტებს. მათ ასევე დაასკვნეს, რომ ეს ამჟამინდელი, წარმავალი სამყარო არის უფრო რეალური სამყაროს ჩრდილი, რომელიც მიღმაა. მისივე თქმით, ქრისტიანები არიან ორ სამყაროს შორის, დროებითია რომელშიც უნდა იცხოვრონ, მაგრამ მათი მარადიული სახლი, არის საბოლოო რეალობა (Fisher, 2010: 13). ასევე ბიბლიაში, კერძოდ „მეორე კორინთელთა მიმართ“, გვხვდება ცნობა მარადიულ და რეალურ სამყაროზე: ,,როცა ხილულს მივაპყრობთ მზერას, არამედ უხილავს; ვინაიდან ხილული წარმავალია, უხილავი კი - წარუვალი“ (2 კორ., 4:18).

ეს ყველაფერი „ნარნიის ქრონიკებიდან“ თვალსაჩინოა განსაკუთრებით „უკანასკნელ ბრძოლაში.“ „ლუისის ქრისტიანული ცის კონცეფცია მკაფიოდ ასახავს პლატონურ აზროვნებას. პლატონს სწამდა „ფორმის“ ერთიანობა, რომელიც უზრუნველყოფს „კონკრეტულის“ ან „ასლის“ უწყვეტობას. ხილული სამყარო მხოლოდ მარადიული იდეების საბოლოო რეალობის ბუნდოვანი ჩრდილია” (Fisher, 2010: 11). მარადიულ, რეალურ ნარნიაში და არა მარტო ნარნიაში, სხვაგანაც ყველაფერი სხვაგვარია. ედმუნდის კითხვაზე, იყო თუ არა ეს ინგლისი და სჩანდა თუ არა პროფესორის სახლი, რომელიც ბავშვებს უკვე დანგრეული ეგონათ, ფავნი პასუხობს „კი, ის დაინგრა, მაგრამ თქვენ უყურებთ ახლა ინგლისს ინგლისში, ნამდვილ ინგლისს და ამ ნამდვილ ინგლისში კარგი არ ნადგურდება“ (Lewis, 2007:159). ბაღიც, ასევე, რომელსაც ისინი მიადგებიან და სადაც მათ ძველი მეგობრები შეეგებებიან, არის სრულყოფილების, მარადიულობის სიმბოლო, რომელიც გარედან პატარა მოსჩანს, მაგრამ შიგნით დიდი და უკიდეგანოა, რომელსაც არ აქვს საზღვრები და დასასრული, რომელიც რეალური და ნამდვილია. „გასაგებია, ახლა ვხვდები, ბაღი თავლას ჰგავს. ის გაცილებით დიდია შიგნით, ვიდრე გარეთ მოსჩანს“ (Lewis, 2007: 158). ლუსი გაოგნებული ჩანდა, ეს არა მხოლოდ ბაღი იყო, არამედ მთელი სამყაროა, საკუთარი

მდინარეებით, ტყეებით, ზღვით და მთებით. მან ეს ყველაფერი იცნო. „ეს ისევ ნარნიაა, მაგრამ უფრო რეალური და უფრო ლამაზი, ვიდრე ის ნარნია“ (Lewis, 2007:158). ასევე თვალსაჩინოა მსგავსება პლატონის მიერ აღწერილ, მიწისქვეშა დილეგში გამომწყვდეულ ადამიანებსა და ლუისის მიერ „უკანასკნელ ბრძოლაში“ აღწერილ ჯუჯებს შორის, რომელთაც თვალის ჩინი წაერთვათ და მხოლოდ სიბნელეს ჭვრეტენ. ჯუჯებს ისევ თავლაში, სიბნელეში ჰგონიათ თავი, ვერ აღიქვამენ ვერც სინათლეს და ვერაფერს, რაც იმ სამყაროში ხდება. მათი ხედვა თავიანთივე უმეცრების გამოა შეზღუდული, „მაშინ, როცა ჯუჯათა სიბრმავე მეტაფორულია, პლატონი „მხედველობას“ განიხილავს როგორც პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელ-ობით; და „სახელმწიფოში“ ის მიუთითებს, რომ ხედვა განსხვ-ავებულია სხვა შეგრძნებებისგან. იმისთვის, რომ რაღაც დაინახო, არა მხოლოდ უნდა არსებობდეს ობიექტი, რომლის დანახვა შესაძლებელია, არამედ ამ საგანზე უნდა არსებობდეს სინათლე. საუკეთესო შემთხვევაში, ეს შუქი იქნება მზე. პლატონისთვის მზე და სინათლე მთავარი გამოსახულებებია და როგორც თვალი, ყველაზე ნათლად ხედავს მზის შუქზე თავის ობიექტს“ (William, 1986: 84). ამგვარად, „გონება აცნობიერებს ყველაზე კარგად, როდესაც ის ხედავს თავის საგანს სიკეთის იდეის ფონზე. სწორედ ეს არის, რაც აძლევს ცოდნის ობიექტებს მათ ჭეშმარიტებას და ვინც ამას ხვდება, - ცოდნის ძალას” (William, 1986: 84). ჯუჯები სადაც გაიხედავენ, ყველაგან სიბნელეს ხედავენ, რასაც შეჭამენ, ყველაფერი უგემური ეჩვენებათ და რასაც დაყნოსავენ, თუნდაც სურნელოვანი და ლამაზი იყოს, ვერც სილამაზეს აღიქვამენ და ვერც სურნელებას გრძნობენ. „ისინი ძალიან უცნაურად გამოიყურებოდნენ. არც დადიოდნენ, არც ერთობოდნენ და არც ისვენებდნენ. ისინი ისხდნენ ძალიან ახლოს ერთმანეთთან წრეში და ერთმანეთის პირისპირ იყურებ-ოდნენ. ისინი არ იხედებოდნენ ირგვლივ და ყურადღებასაც არავის არ აქცევდნენ“ (Lewis, 2007: 126). როდესაც ლუსიმ ასლანს სთხოვა ჯუჯებს დახმარებოდა, ასლანმა უპასუხა ლუსის: „მე დაგანახებ ორთავეს, მე რა შემიძლია და რა არ შემიძლია“ (Lewis, 2007: 128). ჯუჯებისთვის ყველა ასლანის ქმედება მათთვის

უჩვეულო და შემაშფოთებელი იყო, მაინც ყველგან სიბნელეს ხედავდნენ და ვერაფერს ამჩნევდნენ ირგვლივ სასიამოვნოს, უფსკრული იყო მათ შორის. „მათ არ უნდათ რომ ჩვენ დავეხმაროთ. რწმენას მზაკვრობა არჩიეს, მათი ციხე მხოლოდ თავიანთ გონებაშია, ამიტომაც არიან ამ ციხეში; მათ ისე ეშინიათ ტყვეობის, რომ მათი აქედან გამოყვანა შეუძლებელია“ (Lewis, 2007: 130) - ეტყვის ლომი, ასლანი ლუსის. სწორედ ჯუჯების მსგავსია „ჯადოქრის დისწულში“ აღწერილი ბიძია ენდრიუ. როდესაც ისინი ნარნიის შექმნის მომსწრენი ხდებიან, ძია ენდრიუსაც ჯუჯების მსგავსად არ ესმოდა ლომის სიმღერა. მას მხოლოდ ღრიალი ესმოდა. ვერც ლომს აღიქვამდა, როგორც ნარნიის შემოქმედს, არამედ ჩვეულებრივი მხეცი ეგონა. ეს მისი გონებისთვის იყო მიუწვდომელი და თვალთათვის უხილავი. ,,პლატონის ელფერი ორთავე შემთხვევაში (ბიძია ენდრიუ და ჯუჯები) თვალსაჩინოა. ჩვენ შეგვიძლია ისინი დავაკავშიროთ პლატონის მღვიმეში მყოფ პატიმრებთან. როგორც პლატონი ამბობს, ისინი შეიცნობენ რეალობად მხოლოდ ხელოვნური საგნების აჩრდილებს. ამ პატიმრების მსგავსად, ორთავე ბიძია ენდრიუც და ჯუჯებიც მიჩვეულნი არიან მხოლოდ თავიანთი სამყაროს ხედვას. თქვენ შეგიძლიათ ისინი ამ სამყაროდან გამოიყვანოთ, მაგრამ თქვენ ვერ შეძლებთ მათი სამყარო გამოდევნოთ მათგან“ (Joeckel, 1997: 9).

ასევე შეგვიძლია დავინახოთ მსგავსება პლატონის გამოქვა-ბულში არსებულ ტყვეებსა და ტირიანს შორის. ,,გაკვირვებული მეფე ტირიანი, რომელიც თავლის კარებიდან აღმოჩნდა სხვა სამყაროში, გაიხედავს პატარა ხვრელში. ტირიანი ჯერ მხოლოდ სიბნელეს დაინახავს, შემდეგ კი წითელ, ელვარე კოცონს და მის ზემოთ, შავ ცაზე, ვარსკვლავებს. შემდეგ მან დაინახა შავი ფიგურები, რომლებიც მოძრაობდნენ მასსა და ცეცხლს შორის. უეცრად მან გააანალიზა, რომ ის იყურებოდა თავლის კარების გავლით იმ ადგილას, სადაც მას უკანასკნელი ბრძოლა ჰქონდა“ (Lewis, 2007: 122).

როგორც ეს უკვე აღვნიშნე, პლატონს „სახელმწიფოში“ აღწე-რილი აქვს მღვიმე, როგორც ხილული სამყარო, რომელშიც ადამიანები ჯაჭვითაა დამბული და უკან დანთებული ცეცხ-

ლის სინათლის მეშვეობით ხედავენ გამოსახულებებს, საგანთა ანარეკლს და აჩრდილებს. პლატონის გამოქვაბულის და შიგ მყოფი პატიმრების მსგავსება ასევე კარგად სჩანს ლუისის მეექვსე წიგნში „ვერცხლის სკამში“. პრინცი, რილიანი, მეფე კასპიანის შვილი, გაიტაცა ჯადოქარმა და მოჯადოვა. ის არის გამოკეტილი და ვერცხლის სკამზე მიბმული მიწისქვეშეთში (underland), რომელიც საკმაოდ ცხად ასოციაციას ქმნის პლატონის გამოქვაბულისა და გამოქვაბულის პატიმრებისა. რილიანისთვის არსებობდა მხოლოდ ის სამყარო, რომელშიც ის იმყოფებოდა და ჯადოქარი, რომელსაც ის მუდმივად ხედავდა. მისი ცნობიერების სივრცე მხოლოდ ამით შემოისაზღვრებოდა, რადგან მისთვის არ არსებობდა მიწისქვეშეთის გარდა სხვა სამყარო, არც კი იცოდა მისი არსებობის შესახებ. როგორც დიგორი ეუბნება ბავშვებს ნარნიის შესახებ, რომ ის ნამდვილი ნარნიაა და ის რომელსაც ისინი იცნობდნენ ასლია ამ ნამდვილი ნარნიისა, ასევე ეუბნება დედოფალი რილიანის დასახსნელად მისულ ბავშვებს და პადლეგლამს (Puddleglum): „თქვენ დაინახეთ ნათურა და წარმოიდგინეთ უფრო დიდი და უკეთესი ნათურა და უწოდეთ მას მზე. თქვენ ნახეთ კატები და წარმოიდგინეთ უფრო დიდი და უკეთესი კატა და მას დაარქვით ლომი. შეხედეთ, თქვენ ვერაფერს ვერ თხზავთ რეალური სამყაროდან კოპირების გარეშე, ჩემი სამყაროდან, ეს არის მხოლოდ ერთადერთი სამყარო. არ არსებობს არც ნარნია, არც ზეციური სამყარო, არც ცა, არც მზე და არც ასლანი“ (Lewis, 2007:128) - ამბობს ჯადოქარი, რომელსაც უნდა დაარწმუნოს ყველა იქ მყოფნი, რომ სხვა სამყარო არ არსებობს გარდა ის სამყაროსა, რომელშიც ისინი იმყოდებოდნენ ამჟამად.

ამდენად, პლატონის გავლენა კ. ს. ლუისის შემოქმედებაზე საკმაოდ მკაფიოდ ჩანს. ძალიან ახლოსაა „ფორმის“ და „ასლის“ იდეასთან თავისი ახალი, ზეციური ნარნია, რომელიც „უკანასკნელ ბრძოლაში“ გამოჩნდა და რომელსაც ჩვენ მანამდე არ ვიცნობდით. ის ნარნია, რომელშიც ბავშვები მოგზაურობდნენ და მუდმივად მისი გათავისუფლება უხდებოდათ მტრებისგან თუ ჯადოქრებისგან, თურმე ასლია, მოჩვენებითია, წარმავალია ნამდვილი, მარადიული ნარნიისგან განსხვავებით.

დასკვნა

ლუისის მხატვრული ლიტერატურა პლატონური ელემენტ-ებითაა გაჯერებული. ლუისის ტექსტებში ნათლად სჩანს პლატ-ონის ნაშრომების ცოდნა და მის მიმართ დიდი ინტერესი.

ორთავეს, პლატონსაც და ლუისსაც სჯეროდათ იდეების უცვ-ლელი სამყაროსი, რომელიც მოიცავდა მარადიულ, ობიექტურ და ეთნიკურ სტანდარტებს. მათ ასევე დაასკვნეს, რომ ეს ამჟამ-ინდელი, წარმავალი სამყარო არის უფრო რეალური სამყაროს ჩრდილი, რომელიც მიღმაა.

ლუისის „უკანასკნელი ბრძოლა“ სინკრეტული ხასიათისაა. მასში ასახული მოვლენებით აშკარად იგრძნობა გავლენა ქრისტ-იანული ესქატოლოგიის, სკანდინავიური მითოლოგიის და ბერძნული ფილოსოფიის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბიბლია. (2013). საქართველოს საპატრიარქო. თბილისი: გამომც-ემლობა, პალიტრა L;

ელიადე, მ. (2017). *მარადიული დაბრუნების მითი.* თბილისი: გამომცემლობა, „ალეფი“;

პლატონი. (2003). *„სახელმწიფო“.* თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“;

Fisher, Dennis. J. C.S. Lewis. (2010). *„Platonism, and Aslan's Country: Symbols of Heaven in the Chronicles of Narnia".* https:/ /www.jstor.org/stable/26281851;

Jonson G, William, Houtman K. Marcia, (Spring 1986). *„Platonic Shadows in C.S. Lewis' Narnia Cronicles“.* published by Johns Hopkins University press. https://www.jstor.org/s table/ 26281851;

Joeckel, T. Samual. (1997). *„In Search of Narnia on a Platonic Map of Progressive Cognition“.* https://dc.swosu.edu/mythlore /vol2 2/ iss1/3/;

Lewis, C. S. (2007). *„The silver chair“.* Harper Collins e-books; file: ///C:/Users/asus/Downloads/The%20Chronicles%20of%20Nar

nia%2006%20-%20The%20Silver%20Chair%20by%20by %20 C.S.%20 Lewis%20(z-lib.org).pdf;

REFERENCES

Biblia [BIBLIA]. (2013). Sakartvelos Sap'at'riarko. Tbilisi: Gamomts emloba, P'alit'ra L.;

Eliade, M. (2017). *Maradiuli Dabrunebis Miti.* [*The myth of eternal return].* Tbilisi: Gamomcemloba, ,,Alefi";

Plat'oni. (2003). *Saxelmts'ifo.* [*State*]. Tbilisi: Gamomcemloba, „Nekeri";

Fisher, Dennis. J. C.S. Lewis. (2010). „*Platonism, and Aslan's Country: Symbols of Heaven in the Chronicles of Narnia".* https: //www.jstor.org/stable/26281851;

Jonson G, William, Houtman K. Marcia, (Spring 1986). *„Platonic Shadows in C.S. Lewis' Narnia Cronicles".* published by Johns Hopkins University press. https://www.jstor.org/ stable/26 281851;

Joeckel, T. Samual. (1997). *„In Search of Narnia on a Platonic Map of Progressive Cognition".* https://dc.swosu.edu/mythlore/vol 22/iss1/3/;

Lewis, C. S. (2007). *„The silver chair".* Harper Collins e-books; file: ///C:/Users/asus/Downlo ads /The %20Chronicles%20of% 20Narnia%2006%20-%20The%20Silver%20Chair%20by%20by % 20 C.S.%20 Lewis%20(z-lib.org).pdf.

The artistic transformation of Plato's „cave myth" in the Chronicles of Narnia by Clive Lewis

Nino Nikolaishvili
Academic Doctor of Philology,
ETI HOLDING,
Batumi, Georgia

Abstract

The classic works in the fantasy genre of C.S. Lewis' „The Chronicles of Narnia" follow the mythological tradition with all their archetypal and mythological arsenal. The Chronicles are another unique version of cosmogonic myths, which are reworked and, therefore, go far beyond the mythical idea of cosmogony. According to the myth-archetypal embroidery, the Chronicles also begin the post-cosmogonic era of the „Golden Age" (Crete-Yuga), which continues with successive regressive yugas and ends with the end of the eschatological world.

In the Chronicles of Narnia by Clive Lewis, we find not only mythological and religious archetypes and paradigms, but also the influence of philosophers on them. The philosophy of Plato, his world of ideas, and the myth of the cave deserve special attention.

Lewis' fiction is saturated with platonic elements. This is most evident in The Last Battle, where Narnia, described in the previous six chapters, differs from Narnia in „The Last Battle".

Plato's influence is evident in Lewis's Chronicles of Narnia. Knowledge of the works of Plato and a great interest in him is visible in the texts of Lewis. It is also evident that Plato's ideas merged with his own and were viewed in mythological, Christian, and philosophical terms. Some elements of Christian Platonism in Lewis' fiction are easily recognizable, while some of them are so embedded in Lewis's theology that their Greek origins are almost indistinguishable or difficult to understand.

Lewis's vision of the sky, conveyed in the final battle, the disappearance of old Narnia and the creation of a new, real heavenly Narnia that we did

not know before, corresponds to the idea of "form" and "copy". Narnia, in which children traveled and constantly had to free themselves from enemies or witches, turns out to be a copy, imaginary, in contrast to the real, eternal Narnia.

Both, Plato, and Lewis both believed in an immutable world of ideas that included eternal, objective, and ethnic standards. They also concluded that this current, transitory world is a shadow of a more real-world outside of it.

Lewis's ,,Last battle“ is syncretic. The events reflected in it clearly show the influence of Christian eschatology, Scandinavian mythology, and Greek philosophy.

Keywords: Narnia, archetypes; the myth of Plato's cave; the idea of “form” and “copy”.